ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 ივნისის ბიუროს
რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 07 ივნისის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2021 წლის 03 ივნისის რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 14

დ. ხარაგაული

9 აპრილის ქ. #15 03 ივნისი 2021 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა მანანა ბარბაქაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

რუსუდან გიორგაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

მალხაზი ფხალაძე - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

გივი თხელიძე- საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

ოთარ ლურსმანაშვილი - საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე,

პავლე კიკალიშვილი - საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

იუზა კელენჯერიძე - ფრაქცია „ ქართული ოცნება - მრეწველები" თავმჯდომარე,

აკაკი ლურსმანაშვილი - ფრაქცია „ მოძრაობა ხარაგაულისათვის" თავმჯდომარე,

ინგა მაღრაძე - ფრაქცია „თვითმმართველობა ხალხისათვის" თავმჯდომარე

პაატა გოგოლაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარე

სათათბირო ხმის უფლებით:

შალვა ლურსმანაშვილი- ფრაქცია ,,ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარის მოადგილე

ზურაბ ხაჩიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება – კონსერვატორები" თავმჯდომარის მოადგილე

საკრებულოს აპარატი:

ლ. კალანდაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი,

ვ. ჭიპაშვილი - საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე

მერიის წარმომადგენელი:

ვლადიმერ გელაშვილი- მერიის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი,

ვარლამ ჭიპაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე
საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თ. მაღრაძე -ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრი"-ს ჟურნალისტი

მ. შათირიშვილი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების სპეციალისტი,

ნ. კაპანაძე - გაზეთ „ჩემი იმერეთი" - ს ჟურნალისტი

ს. გლუნჩაძე - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ოპერატორი

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა,

დღის წესრიგი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 07 ივნისის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის N23 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს" ვლადიმერ გელაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ბორითში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების 4149 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 36.03.33.022), 2596 კვ.მ მისის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ,

მომხს: ვარლამ ჭიპაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგისა და

საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე .

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 11 წევრი:

მომხრე 11

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა დამტკიცებული იქნა(თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვ. გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის N23 დადგენილებაში „ხარაგაულის

მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

აზრი გამოთქვეს:

ვ. ჭიპაშვილმა, რომელმაც განმარტებები გააკეთა საბიუჯეტო ცვლილებებთან დაკავშირებით და დაასახელა ის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელთა განხორციელებაც არის გათვალიწინებული აღნიშნული თანხით.

მ. ფხალაძემ, რომელმაც უკმაყოფილება გამოხატა იმის გამო, რომ წყალაფორეთი, რომელის არის მისი სამაჟორიტარო ოლქში 2 წელია არაფერი გაკეთებულა, რამდენჯერ უნდა დავაყენო საკითხი, რომ დასრულდეს ბუდიანეთის და პატარა ვარძიის გზა.

დ. კიკნაძემ აღნიშნა, რომ საღანძილეში გაკეთებულია 5 პროექტი და არცერთი არ არის გათვალისწინებული, ირღვევა თანაფარდობის პრინციპი.

ი. მაღრაძემ დააყენა წინადადება რატომ არ ითვალისწინებთ მარელისის სოფლის ცენტრის და საბავშვო ბაღის ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობას ასევე დიდვაკის ხიდი აუცილებლად უნდა გაკეთდეს, თუნდაც დროებითი ნაგებობა, ხალხმა გადაადგილება, რომ შეძლოს, პრიორიტეტები არ არის სწორად შერჩეული, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ტურისტული ობიექტების ინფრასტრუქტურის განვითარებას.

ვ. ჭიპაშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ უპასუხა, რომ მარელისის მიმართულებით იდგმება გარკვეული ნაბიჯები, დიდვაკის ხიდის პროექტი გაკეთებულია, გეთანხმებით, შესაძლებელია ჩატარდეს მცირე სამუშაოები.

პ. კიკალიშვილმა აღნიშნა,რომ ლაშეში 6 სოფელი შედის, რაღაც უნდა გავითვალისწინოთ, უჩამეთში დევის ხვრელთან მისასვლელი გზა უნდა გაკეთდეს, ტურისტული ადგილია, ასევე მინდა დავაყენო საკითხი იმასთან დაკავშირებით, რომ გვყავს ომის გმირები სოფლებში, უნდა დავგეგმოთ მათი საცხოვრებელი უბნის გზების რეაბილიტაცია.

პ. გოგოლაძემ აღნიშნა, რომ 20 მაჟორიტარია საკრებულოში, ყველა მათგანი ვერ ახერხებს ბიუროს ფორმატში საკითხის დაყენებას, მათაც აქვთ პრობლემები, ადრე თანხის ათვისებას ვერ ვახერხებდით, ახლა საქმემ წინ წაიწია, ამას დანახვა უნდა, თუმცა პრიორიტეტების ნიუანსები უნდა იქნეს გათვალისწინებული.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2021 წლის 07 ივნისის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე 10

წინააღმდეგი 0

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2021 წლის 07 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

2.საკითხის განხილვა დაევალა საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიას (კომისიის თავმჯდომარე პავლე კიკალიშვილი)

მოისმინეს : ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ვ.ჭიპაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ბორითში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების 4149 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 36.03.33.022), 2596 კვ.მ მისის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ,

საკითხთან დაკავშირებით კითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2021 წლის 07 ივნისის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 11 წევრი:

მომხრე 11

წინააღმდეგი 0

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2021 წლის 07 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგში

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს 2021 წლის 07 ივნისის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის

წესრიგი (თან ერთვის).

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**